

ბანკარტმბითი ბარათი

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატებების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონის მიღება განპირობებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის საქმიანობისათვის საკანონმდებლო საფუძვლების შექმნის აუცილებლობით, რომელიც აისახა “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო რწმუნებულისათვის ნორმატიული აქტის გამოცემის სამართლებრივ მოწესრიგებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია, მიაწოდოს სახელმწიფო რწმუნებულს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება და დაადგინოს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო რწმუნებულს თავისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ენიჭება ბრძანების, როგორც ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება. ამასთან, ეს ნორმატიული აქტი სახელმწიფო რწმუნებულის მიერ გამოიცემა მხოლოდ ადმინისტრაციული ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებისას.

კანონპროექტის თანახმად სახელმწიფო რწმუნებულის სამართლებრივი აქტები შეიძლება გააუქმოს საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს მთავრობამ. სახელმწიფო რწმუნებულის სამართლებრივი აქტები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

სამართლებრივი აქტების იერარქიაში სახელმწიფო რწმუნებული ბრძანება მინისტრის ბრძანების შემდეგ მოდის.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

სახელმწიფო რწმუნებულისა და მისი ადმინისტრაციის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონის პროექტი გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რამდენადაც აქ გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება მიმდინარე წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობებისათვის, რომლებზედაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრისა და დადგენის წესი.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

